

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო


შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

გამოყენებითი კვლევები საქართველოში

მარინე ჩიტაშვილი
გენერალური დირექტორი
2 ივნისი, 2015 წელი

შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL
SCIENCE FOUNDATION



გამოყენებითი კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის შედეგები 2011-2015

კონკურსის მიზანი:

- › ხელი შეუწყოს გამოყენებითი და ტექნოლოგიური ხასიათის სამეცნიერო კვლევების შემდგომ განვითარებას, ღიად გამოცხადებული საგრანტო კონკურსის გზით შეარჩიოს და დააფინანსოს გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი პროექტები.
- › გრანტის ხანგრძლივობა - 2 წელი;
- › პროექტის მაქს. ბიუჯეტი წელიწადში - 100 000 ლარი; მაქსიმუმ 200 000 ლარი;
- › თანადაფინანსების მოთხოვნა - 10%;
- › 2011-2015 წლებში კონკურსი გამოცხადდა 4-ჯერ (2011, 2012, 2013, 2014);
- › 4 კონკურსში შემოსული პროექტების რაოდენობა - 931 პროექტი;
- › 2011-2015 წწ. დაფინანსებული პროექტების რაოდენობა/ბიუჯეტი - 123 პროექტი / 23 974 860 ლარი.

გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის შეფასების კრიტერიუმები

1 - პროექტის არსი და მეცნიერული ღირებულება

- 1.1 რამდენად მკაფიოდ არის აღწერილი პროექტის მიზანი, შესრულების ეტაპები და შედეგის ინდიკატორები;
- 1.2 კვლევის ინოვაციურობა, მეთოდის მეცნიერული დასაბუთება და შესაბამისობა პროექტის მიზნებთან;

2 - პროექტის გამოყენებითი პოტენციალი

- 2.1 რამდენად შეესაბამება კვლევის მოსალოდნელი პროდუქტი ადგილობრივი და/ან საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს;
- 2.2 კვლევის შედეგების გამოყენების რეალურობა და მდგრადობა;

3 - პროექტის შემსრულებელთა კომპეტენტურობა

პროექტის ხელმძღვანელისა და სხვა ძირითადი შემსრულებლების კვალიფიკაციის/ცოდნისა და გამოცდილების შესაბამისობა პროექტში დასახულ ამოცანებთან;

4 - პროექტის მართვა

რამდენად ოპტიმალურად არის პროექტში დაგეგმილი დროის, ადამიანური და ტექნიკური რესურსების გამოყენება.

გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის სტატისტიკა (I) 2011-2015

სამეცნიერო მიმართულება	შემოსული პროექტების რაოდენობა	შემოსული პროექტების წილი 931 პროექტში	გამარჯვებული პროექტების რაოდენობა	გამარჯვებული პროექტების წილი 123 პროექტში
1 - ქართველოლოგია	49	5%	12	10%
2 - ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები, ეკონომიკური მეცნიერებები	42	5%	10	8%
3 - საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები	245	26%	28	23%
4 - საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები	59	6%	12	10%
5 - მათემატიკური მეცნიერებები	13	1%	3	2%
6 - ფიზიკური და ქიმიური მეცნიერებები	72	8%	9	7%
7 - სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები	22	2%	5	4%
8 - სამედიცინო მეცნიერებები	49	5%	7	6%
9 - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო	170	18%	19	15%
10 - აგრარული მეცნიერებები	210	23%	18	15%
ჯამი:	931		123	

შენიშვნა: 2011-2015 წლების კონკურსებში (4 კონკურსი 2011; 2012; 2013; 2014) დაფინანსებული პროექტების რაოდენობა: 125 2 პროექტი შეწყდა. დარჩა 123 პროექტი.

გამოყენებითი კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 4 წლის კონკურსის შედეგები

2011

• დაფინანსდა 25 პროექტი (მოიხსნა 1) = 24

2012

• დაფინანსდა 38 პროექტი

2013

• დაფინანსდა 27 პროექტი (მოიხსნა 1) = 26

2014

• დაფინანსდა 35 პროექტი


გამოყენებითი კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 4 წლის კონკურსის შედეგები (დაფინანსებული, მიმდინარე და დასრულებული პროექტები)

N	AR - გამოყენებითი კვლევების კონკურსები	დაფინანსებული პროექტები	მიმდინარე პროექტები	დასრულებული პროექტები
1	2011	25 – 1 (მოხსნილი პროექტი)= 24	1	23
2	2012	38	36	2
3	2013	27 - 1 (მოხსნილი პროექტი)= 26	26	0
4	2014	35	35	0
ჯამი:		<u>123</u>	<u>98</u>	<u>25</u>


სად გვაქვს კონკრეტული ინოვაციები და კომერციალიზაციის პოტენციალი?

- 123 პროექტიდან დასრულებულია 25 პროექტი; მიმდინარე - 98 პროექტი;
- 24 პროექტი შეიცავდა საინტერესო ინოვაციებს და ჰქონდათ კომერციალიზაციის პერსპექტივები (ინფორმაცია მოწოდებულია სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის მიერ);
- ფონდს არ ჩაუტარებია 2010-2015 კონკურსის გამარჯვებული პროექტების შინაარსობრივი შეფასება;
- უნდა გაკეთდეს გაცემული გრანტების შედეგების ექსპერტიზა და შედეგების ანალიზი; ფონდი გეგმავს მოწვეული ექსპერტების ჩართვით შინაარსობრივი შეფასების გაკეთებას 2015 წლიდან;


ინოვაციური პროექტების რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლები მიმართულებების მიხედვით




ინოვაციური პროექტების რაოდენობრივი მაჩვენებლები მიმართულებების მიხედვით




ინოვაციური პროექტების (24) რაოდენობრივი მაჩვენებლები მიმართულებების მიხედვით




ინოვაციური პროექტების ბიუჯეტების რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლები მიმართულებების მიხედვით (ჯამური ბიუჯეტი - 4 934 968 ლარი)




ინოვაციური პროექტების ბიუჯეტების პროცენტული გადანაწილება მიმართულებების მიხედვით



ორგანიზაციები, რომლებმაც წარმოადგინეს ინოვაციური პროექტები და მიიღეს დაფინანსება 2011-2015 წლებში



მეცნიერების ის დარგები, სადაც საქართველოს წარმატებული შედეგები აქვს (2011-2012 წლებში)



კომერციულიზაციისთვის ხელშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორები (ინსტიტუციური, ქსელური)

- › მიუხედავად სამთავრობო სტრატეგიული გეგმისა „საქართველო 2020“, ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული კონკრეტული სამეცნიერო პრიორიტეტები სახელმწიფო დონეზე;
- › არ არსებობს ზუსტი მონაცემები არსებული რესურსებისა და პოტენციალის შესახებ;
- › კოორდინირებისა და სისტემური თანამშრომლობის სიმწირე სამიზნე ჯგუფებს შორის(სამთავრობო, არასამთავრობო, აკადემია - ბიზნესის დონეზე);
- › ინსტიტუტების პრიორიტეტების განსაზღვრასა და სტრატეგიულ დაგეგმვაში არასისტემური მიდგომა;
- › შეზღუდული რესურსები (ფინანსური, ადამიანური);
- › ნახევრადჩაკეტილი სისტემა - არსებული რესურსებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ვიწრო წრეებში, არასისტემური ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული ჯგუფისთვის.


რა არის გასაკეთებელი (| ნაწილი)

- › ეროვნული ბაზის შექმნა არსებული რესურსებისა და პოტენციალის შესახებ: უნდა გაკეთდეს მიმართულებების/ქვე-მიმართულებების მიხედვით ბაზა, ინსტიტუტში/უნივერსიტეტში/ცენტრში, ინოვაციური ტექნოლოგიების თვალსაზრისით, მომუშავე აქტიური მეცნიერებისა და ჯგუფების შესახებ;
- › HORIZON 2020-ის პროგრამებსა და კონკურსებში ქართველ მეცნიერთა მაქსიმალურად აქტიურად ჩართვის ხელშეწყობა;
- › სისტემური და კოორდინირებული მუშაობა ყველა დაინტერესებულ ჯგუფთან:
 - საქართველოს კვლევით უნივერსიტეტებთან, კვლევით ინსტიტუტებთან და ცენტრებთან;
 - სამინისტროებთან (განათლებისა და მეცნიერების, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების);
 - შესაბამის სსიპ-ებთან (შოთა რუსთაველის ეროვნ. სამეცნიერო ფონდი, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სააგენტო/GITA, საქპატენტი და სხვ.);
 - არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც ინოვაციურ და ტექნოლოგიების განვითარებაზე მუშაობენ და ეროვნულ პლატფორმაში არიან გაერთიანებულნი;
 - ბიზნესსექტორთან.

რა არის გასაკეთებელი (II ნაწილი)

- › უნდა წახალისდეს კლასტერული ქსელების შექმნა (ევროკავშირის პროექტებში როგორც წესი ეს ჩადებულია), როდესაც ერთიდაიმავე პრობლემაზე მომუშავე ჯგუფები (კვლევითი ცენტრები, არასამთავრობო, სამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციები) ერთიანდებიან და თანამშრომლობენ კონკრეტული პროექტების ფარგლებში;
- › საჭიროა საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება - საინფორმაციო დღეების, ვებინარების სერიის ორგანიზება და მკვლევართა გაცვლითი ღონისძიებების წახალისება - უნივერსიტეტებს/კვლევით ინსტიტუტებსა და ბიზნესსექტორს შორის თანამშრომლობის წახალისება (მაგ. აკად. პროგრამების განახლება ბიზნეს სექტორის/ბაზრის მოთხოვნილებების გათვალისწინებით; თემატური ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელება, Fab Labs, Tech. incubators);
- › ინოვაციურ აქტუალურ პროექტებზე ინფორმაციის სისტემური მოკვლევა, ანალიზი, სამიზნე ჯგუფებში გავრცელება და საქპატენტთან აქტიური თანამშრომლობა; შესაბამისი მონაცემთა ბაზის წარმოება/განახლება და გათვალისწინება ახალი პროექტების დაწყებისას. ამა თუ იმ კონკრეტულ მიმართულებაში რა არის მსოფლიოში გაკეთებული. რა არის პრობლემური საკითხები/გადასაჭრელი. რაზეა მოთხოვნილება მსოფლიო ბაზარზე?
- › კონკრეტულ დაინტერესებულ საერთაშორისო ინსტიტუტებთან კოორდინირებული მუშაობა თემატურად/პრიორიტეტების მიხედვით.

*გმადლობთ
ყურადღებისთვის*



შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL
SCIENCE FOUNDATION